

## NDI-ს პირველი დასკვნა და რეკომენდაციები



### მაგდა ლაკიაშვილი

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წინასაარჩევნო დელეგაციამ საარჩევნო პროცესზე მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. დელეგაციის წევრები

საქართველოში, დაახლოებით, ერთი კვირის წინათ ჩამოვიდნენ. მას შემდეგ შეხვედრები გამართეს როგორც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საარჩევნო პროცესით დაინტერესებულ

სხვადასხვა მხარეებთან. ამერიკიდან ფართომასშტაბიანი დამკვირვებლების მისიის ჩამოსვლამდე, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს მცირე რაოდენობის ჯგუფები დააკვირდებიან.

გაზრდილია  
მე-3 გვერდზე

## უზბეკეთი რუსული ორბიტიდან ისევ გამოდის

### ივა შილაკაძე

სუთმაბთს, გვიან სალამოს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ უზბეკეთისგან მიიღეს ოფიციალური ნოტა, რომლის თანახმადაც, ეს ქვეყანა გადის ამ სამხედრო-პოლიტიკური კავშირიდან. თავისთავად ამ ცნობაში მოულოდნელი და საკვირველი არაფერია, უზბეკეთი ხშირად იცვლის პოლიტიკურ ორიენტაციას და ამ სახელმწიფოს ერთხელ - 1999 წლიდან 2006 წლამდე - უკვე ჰქონდა დეტოვირებული კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება. მისი წევრობის ამ ბო-



პრეზიდენტების ბოლო შეხვედრა მისში

ლო წლებშიც უზბეკეთის დელეგაცია ხანდახან თუ მონაწილეობდა სხდომებში და, როგორც წესი, ხელს არაფერს აწერდა. თუმცა, თუ ამ ცნობას განვიხილავთ უფრო ფართო კონტექსტში, კერძოდ, ტაჯიკეთში, ყირგიზეთ-

ში და აზერბაიჯანში რუსული სამხედრო ობიექტების დარჩენის საეჭვო პერსპექტივებთან ერთად, მაშინ შეიძლება ცოტა განსხვავებული დასკვნები გაკეთდეს.

გაზრდილია  
მე-5 გვერდზე

## დასკვნითი დაბატები პარლამენტში

### დათო გახისონია

გუშინ პარლამენტის საგაზაფხულო სესია სახელმწიფო ბიუჯეტის დახურა. მოქმედ, მე-7 მოწვევის პარლამენტს უფლებამოსილება, ოფიციალურად, ახალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე შეუწყდება.

ჯერჯერობით უცნობია, პარლამენტი საშემოდგომო სესიამდე რიგგარეშე სხდომას გამართავს თუ არა. არც ის საკითხია გარკვეული, მოქმედი პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე შეიკრი-

ბება თუ არა. რეგლამენტის თანახმად, საშემოდგომო სესია სექტემბრის პირველ სამშაბათს იხსნება. თუმცა, როგორც საარჩევნო კოდექსშია მითითებული, პარლამენტის პლენარული სხდომები არჩევნებამდე ერთი თვით ადრე წყდება. გამოდის, რომ პარლამენტი საშემოდგომო სესიის გახსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოასწრებს, თუ პრეზიდენტი არჩევნებს 11 ოქტომბრის შემდეგ დანიშნავს.

ერთ-ერთი ბოლო პროექტი, რომელიც პარლამენტმა გუშინდელ კენჭისყრაზე მე-3

მოსმენით დამტკიცა, ლაზიკას სტატუსის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილება. კონსტიტუციაში იწერება, რომ ქალაქ ლაზიკას სტატუსი ორგანული კანონით განისაზღვრება.

პარლამენტმა სესიის დასრულებამდე თავისი 4-წლიანი მუშაობა შეაფასა. საპარლამენტო უმცირესობამ და უმრავლესობამ მათთვის სესიის განმავლობაში სიტყვით გამოსვლებისთვის რეგლამენტით განკუთვნილი დროის გამოყენება მოითხოვეს.

გაზრდილია  
მე-3 გვერდზე

## "საქართველოს რკინიგზა" მსოფლიოს ეკონომიკურმა ფორუმმა შეაფასა

### ნინო ნარჩიაშვილი

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს გლობალური ვაჭრობის ხელშეწყობას, საქართველოს სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, ხარისხის თვალსაზრისით, მსოფლიოში 132 ქვეყანას შორის 36-ე ადგილზეა და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ნორვეგია, იტალია, პოლონეთი, საბერძნეთი, თურქეთი, ისრაელი, სლოვენია, ესტონეთი, ბულგარეთი, ბრაზილია, ხორვატია, უნგრეთი და სხვა.

კვლევაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს ტრანსპორტის დარგში კონკურენტული უპირატესობა გააჩნია



სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მიმართულებით, რაც დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

რდას და სხვა ქვეყნებთან სარკინიგზო მიმოსვლას, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

გაზრდილია  
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6415\$
1 ევრო	2.0409\$
1 ინგლისური გირვანკა	2.5532\$
1 თურქული ლირა	0.8994\$
100 რუსული რუბლი	4.9831\$

თბილისი	27°C - 16°C
ქუთაისი	24°C - 15°C
თელავი	28°C - 12°C
ზუგდიდი	24°C - 16°C
ბათუმი	22°C - 17°C

ნავთობი	2.71	+0.16	+6.01%
გაზი	2.82	+0.10	+3.54%
ოქრო	1,600.30	+49.90	+3.12%
ხორბალი	758.00	+12.00	+1.58%

"24 საათი" ელექტრონული ვერსია იხილეთ [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)  
ჩვენი პარტნიორები:

ბანკი კონსტანტა  
BANK CONSTANTA  
ISSN 1987 9121  
9 771987 1912100

## შენგელის აპრიკული კარიერა რუსი ოლიგარქის ბუნდით იწყება

28 ივნისს, გამთენიისას, ნიუ ჯერსიში, "ფრადენშულ ცენტრში", NBA-ს 2012 წლის დრაფტი შედგა. წლებამდე დრაფტზე თორნიკე შენგელიც გავიდა. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ თორნიკეს დრაფტის მეორე წრეში აიყვანდნენ და ასეც მოხდა.

ქართველი კალათბურთელი დრაფტის მეორე რაუნდში 24-ე ნომრის მქონე "ფილადელფიამ" აიყვანა, თუმცა თორნიკე მხოლოდ რამდენიმე წუთს იყო "სიქსერზის" წევრი.

გაზრდილია  
მე-11 გვერდზე



## ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი Weekend

გაქონილია

საქართველოს ფოსტა

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!

ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალინინდა ოინგაზოგს	5.90	4.90
ჰარი პოტერი და საიღუმლო ოთახი	9.00	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ქაღალაძი	6.90	3.00
ქართველები ამერიკაში	17.90	11.90
კავკასიის გამოპოლიტიკური ატლასი	15.90	11.00
























# ბალოტელი: "ეს იყო საოცარი საღამო"

მარიო ბალოტელიმ იტალია ევრო 2012-ის ფინალში გაიყვანა. იტალიური ფეხბურთის თანება ვარსკვლავმა კარიერის უმნიშვნელოვანესი დუბლი შეასრულა. მატჩის შემდეგ ფეხბურთელმა თქვა, რომ გოლებს უძღვნის დედას, ჯან-ლუიჯი ბუფონმა კი აღიარა, რომ ფინალური სასტვენის შემდეგ გაბრაზებული იყო.

როდესაც ვარშავის ნაციონალური სტადიონის მიქს-ზონაში მარიო ბალოტელი გამოჩნდა, რეპორტიორებს მატჩის გმირისგან ინტერვიუს აღება სურდათ, მაგრამ სუპერმარიო მშვიდად მიდიოდა იტალიელთა ავტობუსისკენ და ურნალისტებს ყურადღებას არ აქცევდა. ვითარებას უშველა იტალიის ნაკრების პრეს-ოფიცერმა, რომელმაც ბალოტელი გააჩერა....

- ამ გამარჯვებას ვუძღვნი დედაჩემს, - თქვა იტალია-გერმანიის მატჩის გმირმა, - დღეს ის სტადიონზე იყო. მას შემდეგ, რაც შემეცალეს, ვუთხარი: "დედა, ეს გოლები შენ გეკუთვნის". ამ მომენტს დიდხანს ველოდი. დედაჩემი უკვე ხანდაზმულია, მაგრამ ვარშავაში ჩემს საგულშემატკივროდ მაინც ჩამოვიდა. ფინალს მამაც დაესწრება. ახლობლების მხარდაჭერა ძალას მძაბვებს.

**- უკვე სამი გოლი გაქვთ გატანილი და ერთი თამაში დაგრჩათ გასამართი.**

- ცხადია, შევეცდები, ევრო 2012-ის საუკეთესო ბომბარდირი გავხდე. ამისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ. რაც შეეხება დღევანდელ გოლებს, არ შემიძლია არ ვთქვა ჩემი პარტნიორების თამაშზე. კასანომ და მონტოლივომ არაჩვეულებრივი პასები მომცეს.

**- რატომ შეგცვალეს?**

- მეორე ტაიმში პატარა ტრავმა მივიღე. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წუთს მაინც ვითამაშე, რათა მწვრთნელს ამ ხნის განმავლობაში ცვლილება მოეზადებინა.

**- იტალიის ჩემპიონატში დაბრუნებას არ აპირებ?**

- ჯერ არა. "სიტის" ფანებს ვუყვარვარ და მათ არ დავალაპტებ. დარწმუნებული ვარ, "სიტის" კომპეტს ისევე ვუყვარები, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ნაკრები გამოვთიშეთ ევროპის პირველობას.



მარიო ბალოტელიმ დუბლი გაიფორმა

**- ევროპის ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დაგრჩათ. რას ფიქრობთ ესპანეთის ნაკრებთან გასამართ ფინალზე?**

- შემიძლია შეგპირდე, რომ მინდორზე ბოლომდე დავიხარჯებით. ახლა მთავარია კარგად დავისვენოთ, ძალები აღვიდგინოთ, შემდეგ კი, უბრალოდ, გავიდეთ მინდორზე და ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ. დღეს საოცარი საღამო იყო, ყველაზე ფანტასტიკური ჩემს ცხოვრებაში. თუმცა, მჯერა, რომ კვირა საღამო უკეთესი იქნება.

ჟურნალისტებთან საუბარი იტალიის ნაკრების სხვა ფეხბურთელებმაც არ და-

იზარეს. **კლაუდიო მარკიზიო:** "იტალიამ ფანტასტიკური მატჩი გამართა. ყველა ძალიან დავილაღეთ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ესპანეთის ნაკრებს არაფრით არ ჩამოვუვარდებით. მეტოქის წინაშე შიშზე საუბარიც არ უნდა იყოს. კვირას მინდორზე გავალთ და მოსაგებად ვითამაშებთ."

**ჯანლუიჯი ბუფონი:** "მატჩი რომ დამთავრდა, ძალიან გაბრაზებული ვიყავი. იმის ნაცვლად, რომ თამაში მშვიდად მიგვეყვანა გამარჯვებამდე, ცეცხლთან თამაში დავიწყეთ. ვფიქრობ, გერმანელებს ერთი შემთხვევითი გოლიც რომ

გაეტანათ, დამატებით დროში 2:9-ს ნავაგებდით. მე ყოველთვის თამაშს ვაფასებ და არა მხოლოდ შედეგს. მთლიანობაში ახალგაზრდა გუნდი გვყავს და ბევრი გვაქვს სასწავლო".

**ანდრეა პიროლი:** "ჯერჯერობით არაფერი გავგიკეთებია. ჯერჯერობით მხოლოდ ფინალის საგზური დავიბევეთ. ფინალის საგზური დამსახურებულად მოვიპოვეთ".

მარცხის შემდეგ გერმანელი ფეხბურთელები ლაპარაკის გუნებაზე არ იყვნენ, მაგრამ ჟურნალისტებთან ურთიერთობაზე უარი არ თქვეს. **ფილიპ ლამი:**

"თავად ვართ დამნაშავეები. რამდენჯერმე უნებლად შევცდით და მეტოქემ დაგვსაჯა. იტალიის ნაკრებმა ბრწყინვალედ ითამაშა. მეორე ტაიმში ყველაფერს ვაკეთებდით, რომ ანგარიში გავგეთანაზრებინა. სამწუხაროდ, გოლი ძალიან გვიან გავიტანეთ".

**იოახიმ ლიოვი:** "ჩვენ გვყავს მარკო როსი, რომელიც ახალგაზრდაა, ჩვენ გვყავს მარიო გიოტცი, რომელიც ასევე ახალგაზრდაა, ჩვენ გვყავს მთავარი მწვრთნელი, რომელიც ასევე ახალგაზრდაა და თქვენ წინაშე დგას. უბრალოდ, ამ მატჩის შემდეგ დავებრდით".

## ბექჰემს ოლიმპიადის მიღმა ტოვებენ



ბრიტანულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დევიდ ბექჰემი ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ბრიტანეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დევიდ ნაკრების 18-კაციან განაცხადში არ შეიყვანა. მართალია, პირს ოფიციალურად ბრიტანეთის ნაკრების შემადგენლობა არ დაუსახელებია, მაგრამ ბრიტანული მედიისთვის ცნობილია, რომ პირსი ბექჰემს ოლიმპიადის მიღმა დატოვებს.

"როგორც რიგითი ლონდონელი, მოუთმენლად ველი ოლიმპიური თამაშების დაწყებას. ბედნიერი ვარ, რომ მცირე წვლილი მაინც შემიქვს ამ ოლიმპიურ თამაშებში. ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობა ჩემი ოცნება იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ოლიმპიადაზე მხოლოდ მასურების როლი ვიქნები", - განაცხადა ბექჰემმა.

ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირზე 23 წლამდე ასაკის ფეხბურთელები თამაშობენ და ყველა ნაკრებს სამი ასაკოვანი ფეხბურთელის დამატება შეუძლია. 37 წლის ბექჰემი სტიუარტ პირსის გაფართოებულ შემადგენლობაში იყო, მაგრამ ბრიტანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა საბოლოოდ სხვა სამი ასაკოვანი ფეხბურთელი არჩია. კერძოდ, ბრიტანეთის ნაკრებში ითამაშებენ 38 წლის რაიან გიგზი ("მანჩესტერი"), 32 წლის კრეიგ ბელამი ("ლივერპული") და 24 წლის მიკა რიჩარდსი ("სიტი").

ძნელია იმის თქმა, თუ რატომ დაინუნა სტიუარტ პირსმა ბექჰემი. როგორც ამბობენ, ვეტერანი ფეხბურთელი მხოლოდ იმიტომ აგრძელებდა კარიერას, რომ ბექჰემი ეთამაშა. ამ მხრივ ბექს ნამდვილად არ უმართლებს. შეგახსენებთ, რომ მას 2010 წლის მუნდიალზე მოხვედრის რეალური შანსი ჰქონდა. ამის გამო დევიდმა დასვენებაზე უარი თქვა და ამერიკული სეზონის დასრულების შემდეგ იტალიურ "მილანში" გადავიდა სათამაშოდ, მაგრამ სწორედ მილანურ კლუბში მიიღო ტრავმა და მსოფლიო ჩემპიონატს მიღმა დარჩა. მამის ბევრმა ჩათვალა, რომ ბექჰემი კარიერასაც დაასრულებდა, მაგრამ დევიდმა ტრავმა მოიშუშა და "გელფესიში" თამაში გააგრძელა. დევიდის მიზანი 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშები იყო, მაგრამ მას არც ამჯერად გაუმართლა".

# შეკრებიდან შეკრებამდე ნაკრები ბამოიკვეთიბა

მომავალი კვირის ბოლოს საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრების ავსტრიელი მწვრთნელი პიტერ ზაიზენბახერი იმ შვიდეულს დაასახელებს, რომელსაც ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მოუწევს ასპარეზობა. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადების მიღების ბოლო ვადა 9 ივლისია, ნაკრების მწვრთნელი კი რჩეულებს 7 ივლისს ძიუდოს აკადემიაში დაასახელებს.

საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრების რვა კანდიდატი ახლახან ჩეხეთში, ევროპის ძიუდოს ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სანვრთელ შეკრებაზე იმყოფებოდა, დღეს კი იგივე მიზნით ესპანეთშია და 6 ივლისამდე იქ დარჩება.

ჩეხეთ-ესპანეთის განაცხადში ნაკრების თავკაცმა ბეთქელ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი (ორივე 60 კგ.), ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ.), ნუგზარ ტატალაშვილი (73 კგ.), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ.), ლევან ჟორჟოლიანი, ირაკლი ცირეკიძე (ორივე 100 კგ.) და ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ.) შეიყვანა, ხოლო ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ.) და ზვიად ხანჯალიაშვილი (+100 კგ.) ტრავმების გამო არ იმყოფებიან ამ შეკრებებზე. ხანჯალიაშვილს ამ მიზეზით თითქმის



ლიპარტელიანი ჩეხურ და ესპანურ შეკრებებზე ტრავმამ არ გაუშვა

მთელი მოსამზადებელი ციკლი გაუცდა, ლიპარტელიანის ტრავმა კი მსუბუქია და თბილისში ინდივიდუალური პროგრამით ემზადება.

...შვიდი წონითი კატეგორიიდან ოთხში ლონდონში წამსვლელ ძიუდოსტთა ვინაობა აქედანვე ცნობილია. 66 კილოგრამში ოლიმპიური ნორმატივი ლაშა შავდათუაშვილია, 73-ში - ნუგზარ ტა-

ტალაშვილი, 81-ში - ავთანდილ ჭრიკიშვილი, ხოლო 90-ში - ვარლამ ლიპარტელიანი. ასე რომ, პიტერ ზაიზენბახერს 60, 100 და მძიმე წონით კატეგორიებში აქვს არჩევანი გასაკეთებელი უმსუბუქეს წონაში ამირან პაპინაშვილსა და ბეთქელ შუკვანს, 100-ში - ირაკლი ცირეკიძესა და ლევან ჟორჟოლიანს, ხოლო მძიმეში - ადამ ოქრუაშვილსა და ზვიად ხანჯა-

ლიაშვილს შორის. ესპანეთიდან დაბრუნებული ნაკრები წინასაოლიმპიადო დასკვნით შეკრებას ბორჯომში გაივლის და არა დუშეთში, როგორც ეს თავდაპირველად იყო დაგეგმილი.

და კიდევ, ძიუდოსტები ერთ-ერთი პირველები გავლენ ოლიმპიურ ტატამზე - ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიის მეორე დღეს.